პატივცემულო კოლეგებო და დოქტორანტებო !

საორგანიზაციო კომიტეტი გაცნობებთ, რომ 2018 წლის 27-29 სექტემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციას:

„საინფორმაციო საზოგადოება და განათლების ინტენსიფიკაციის ტექნოლოგიები"

იგი ეძღვნება სტუ-ს იუნესკოს კათედრის დაარსების მე-15 წლისთავს.

კონფერენციას ხელმძღვანელობენ:

- აკად. არჩილ ფრანგიშვილი (სტუ-ს რექტორი)
- აკად. გოჩა ჩოგოვაძე (სტუ-ს UNESCO-ს კათედრის გამგე)

კონფერენციის თემატიკა:

სექცია-1 – „ინფორმაციული საზოგადოება". ქვესექციები:

1. ინფორმაციული საზოგადოება - ცივილიზაციის განვითარების ახალი ისტორიული ეტაპი;
2. მედიატექნოლოგიები და მედიაინფორმატიკა. ადამიან-მანქანური ინტერაქციები. საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოება;
3. ინტელექტუალური განათლების ტექნოლოგიები და ინფორმატიკის დიდაქტიკა;

სექცია-2 – „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები". ქვესექციები:

1. სოციალური პროცესების მოდელირების ტექნოლოგიები. ინოვაციური ლოგისტიკის მენეჯმენტი, ლოგისტიკური ქსელები და კვანძები;
2. ეკოსისტემები, Big Data და Web ტექნოლოგიები. Machine Learning და Data Mining სისტემები. ნანოტექნოლოგიები ინფორმაციულ საზოგადოებაში;
3. საინფორმაციო სისტემების პროგრამული ინჟინერია. დაპროგრამების მობილური და ჰიბრიდული ტექნოლოგიები. ინფორმაციული საზოგადოება და „ღრუბლოვანი" ტექნოლოგიები.

(დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე)